საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება№ 01-08/38

ქ. ბათუმი 08 თებერვალი, 2023 წ.

,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 24 იანვრის №01–08/11 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 02 თებერვლის MES 5 23 0000117754 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 02 თებერვლის N01-14/32 და ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 ნოემბრის N01-02/211 ბრძანებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ებ:

1. „ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 24 იანვრის №01–08/11 შევიდეს ცვლილებები და დამატებები, კერძოდ:

   1.1. შევიდეს ცვლილება ბრძანების N1 დანართში და მე-10 ნაკადის სტუდენტთა სიიდან **ამოღებულ იქნას 111-ე გრაფაში აღნიშნული** ,,დიპლომირებული მედიკოსის'' საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტი **ჰარშ მანგალბჰაი პრაჯაპატი** (პ/ნ W5010521);

№	სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)	ბსუ-ში ჩარიცხვის ნაკადი	ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანება (ან/და ცვლილება)
111	ჰარშ მანგალბჰაი პრაჯაპატი		დიპლომირებული მედიკოსი	X	№01-08/1038 08/12/2022

1.2. შევიდეს დამატება ბრძანების №1 დანართში **და მე-9 ნაკადის სტუდენტთა სიას მე-4 გრაფად დაემატოს** ,,დიპლომირებული მედიკოსის'' საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტი **სანჯუმი** (V2719312) და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)	ბსუ-ში ჩარიცხვის ნაკადი	ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანება (ან/და ცვლილება)
4	სანჯუმ		დიპლომირებული მედიკოსი	IX	№01-08/27 08/02/2022

1.3. ბრძანების №1 დანართის **მე-9 ნაკადის სტუდენტთა სიიდან ამოღებულ იქნას** მე-3 გრაფაში აღნიშნული „დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **ანამიკა ბაიჯუ** (პ/ნ U6177312) **და გადატანილი იქნეს - დაემატოს მე-10 ნაკადის** სტუდენტთა სიას **113-ე გრაფის სახით** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)	ბსუ-ში ჩარიცხვის ნაკადი	ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანება (ან/და ცვლილება)
113	ანამიკა ბაიჯუ		დიპლომირებული მედიკოსი	X	№01-08/544 25/07/2022

1.4. ბრძანების №1 დანართის მე-10 ნაკადის სტუდენტთა სიის **66-ე და 94-ე გრაფებში გასწორდეს** დაშვებული **ტექნიკური შეცდომები პასპორტის ნომრებთან** დაკავშირებით და აღნიშნული გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა)	ბსუ-ში ჩარიცხვის ნაკადი	ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანება (ან/და ცვლილება)
66.	სანგლე თანმაი ვიკრამ		დიპლომირებული მედიკოსი	X	№01-08/1006 17.11.2022
94.	არონ საჯი ტჰოტტიკატტუ		დიპლომირებული მედიკოსი	X	№01-08/1027 01.12.2022

2. ბრძანება აისახოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. წინამდებარე ბრძანება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე, ხოლო ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს თითოეული სტუდენტისათვის ინდივიდუალურად გაცნობა (დეკანის ოფისის მიერ დაეგზავნოს თითოეული სტუდენტს, მათ ხელშეკრულებაში აღნიშნულ ან/და განახლებულ საკონტაქტო მისამართზე/ელ. ფოსტაზე).

4. საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარიამ) უზრუნველყოს 3 დღის ვადაში წინამდებარე ბრძანების გამოცემის შესახებ ინფორმაციის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, ასევე სსიპ ,,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის'' გაგზავნა.

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს და სტუდენტებს (ინგლისურენოვან თარგმანთან ერთად და გაგზავნის დამადასტურებელ წერილთან ერთად განთავსდეს მათ პირად საქმეებში).

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ანზორ ბერიძე**